მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული
დაგეგმარების საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №2

ქ. მარტვილი 15 მარტი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ბახია, ლევან სურმავა, კობა დარჯანია, ზურაბ მელიავა, შალვა თაფლაძე, ზაურ ჯახუა, ელდარი თოდუა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ბახია.

სხდომის თავმჯდომარემ შალვა ბახიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული ანგარიშის შესახებ;
/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ;
/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში; /მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
4. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე; /მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა

ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული ანგარიშის შესახებ; მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და სხდომის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლევან სურმავამ აღნიშნა, რომ როგორც მათთვის ცნობილია აღნიშნულ სამსახურს 2022 წელს შეერწყა სოფლის მეურნეობის სამსახური და კმაყოფილია აღნიშნული გადაწყვეტილების სისწორეში, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული ანგარიშის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული ანგარიში შეფასდეს დადებითად.

მე–2 საკითხის წინ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ; მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: კობა დარჯანიამ ასევე ყურადღება გაამახვილა ცვლილებებზე რომელიც აღნიშნულ სამსახურს შეეხო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2022 წელს გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

მე–3 საკითხის წინ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: ელდარი თოდუამ აღნიშნა, რომ აღნიშნული სამსახურის მიმართ დამატებით გააჩნია კითხვები რასაც დასვამს საკრებულოს სხდომაზე.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დადებითად შეფასების თაობაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დადებითად.
მე–4 საკითხის წინ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.
მოისმინეს4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიში და სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს კომისიის წევრებმა რის შემდეგაც
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
მე–5 საკითხის წინ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: შალვა ბახია